

აღამიანებს აქვთ უფლება, იცოდნენ სიმართლე

რეკლამის ადგილი
(234 X 60)

ახალი 7 დღე

SHARE

- ▲ გახადე საწყისი
- + დაამატე რჩეულებში
- RSS ნაკადი იმპორტისთვის

„ახალი 7 დღე“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტგაზეთი • ინფორმაცია - ყოველდღიური, ანალიზი - ყოველკვირეულის

ჩვენ შესახებ ავტორები ქსელი

ჟურნალისტური გამოძიება

რედაქტორების ბლოგი

- [სიახლეები](#)
- პოლიტიკა
 - საშინაო
 - საერთაშორისო
- [საზოგადოება](#)
- [ეკონომიკა](#)
- [რეგიონები](#)
- [მართლმსაჯულება](#)
- კულტურა
 - ლიტერატურა
 - ჩვენი ბიბლიოთეკა
 - მუსიკა
 - მხატვრობა
 - კინო/თეატრი
- [მედია](#)
- [პრესა-დაიჯესტი](#)
- სპორტი
 - პროგნოზები

აწყურის ხანძრების საიდუმლო - შეთქმულება საქართველოს ბუნების წინააღმდეგ!

მთავარი

16-08-2010, 19:52
ნიკა უხურგუნაშვილი



ეკოლოგიურ პრობლემებს საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში სერიოზულად არავინ აღიქვამდა. საბჭოთა პერიოდში ყველა საგნისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ათწლეულები ზიანს აყენებდა გარემოს.

შწორედ, ამ დროს მიმდინარეობდა ბუნების მომაკვდინებელი სამუშაოები, რაც მდინარეების კლაპოტის, მათი დინების შეცვლით და სხვა მსგავსი ქმედებებით გამოიხატებოდა, რაც, რაღა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა არა მხოლოდ მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების, არამედ მთელი მსოფლიოს კლიმატურ პირობებზე.

გარემოსადმი დამოკიდებულება არც საბჭოთა კავშირის

პაატა ზაქარეიშვილის ბლოგი

იაგო კაჭკაჭიშვილის ბლოგი

ზურაბ კიკნაძის ბლოგი


ლია მუხამავერიას ბლოგი

- არქივი
- მაისი 2013 (3)
 - აპრილი 2013 (12)
 - მარტი 2013 (3)
 - თებერვალი 2013 (3)
 - იანვარი 2013 (4)
 - დეკემბერი 2012 (2)

არქივის ზომის ნახვა

დიება

გაფართოებული დიება



7 დღის საბაზრო ტური

ვიდეომაუწყებელი მწვავე საუბარი სატელევიზიო ვიდეო რგოლი

ნგრევის შემდეგ შეცვლილა. ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში გამეფებულმა განუკითხაობამ საშუალება მისცა ბრაკონიერებს ჩვენი ბუნების თითქმის სრულად განადგურებისა. მაშინ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ვერტმფრენიდან ნადირობა ცხოველებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ისედაც გადაშენების პირას მდგარ სახეობებს მიეკუთვნებოდნენ. თუმცა, ამგვარი დამოკიდებულება როგორც ფაუნაზე, ასევე ფლორაზეც თანაბრად ვრცელდებოდა. საქართველოში დღემდე შემორჩენილია მცერანეთა ასეულობით ენდემური (ენდემი - მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში) ჯიში.

ჩვენს ქვეყანაში დღეს უკვე გადაშენების პირას მყოფი კავკასიური ირემი ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ყველაზე გავრცელებული ჩლიქოსანი იყო. ბორჯომში, მაშინდელ რომანოვთა საიმპერატორო ბაღში, დღეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკში, რუსეთის იმპერატორის მიერ მოწვეულმა ევროპელმა მებაღეებმა უნიკალური სასიცოცხლო პირობები შეუქმნეს ირემს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერატორო კარის წევრები მასზე ხშირად ნადირობდნენ, საოცარი სისწრაფით მრავლდებოდა.

დღეს ეს ცხოველი გადაშენების პირასაა. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მდგომარეობის მკვეთრად სასიკეთო ცვლილება არც ახლა შეინიშნება, როცა თითქოსდა საკანონმდებლო ბაზა მეტ-ნაკლებად დაიხვეწა. ისევ გრძელდება ტყის უკანონო ჩეხვა და თბილისის შემოგარენში არსებულ ტყეებშიც კი ბალახისა და ხეების ადგილი უკვე დიდი ხანია პოლიეთილენის პარკებმა და ბოთლებმა დაიკავეს.

ქალაქ თბილისის წინა მოწვევის საკრებულომ, 2009 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით, დედაქალაქის ბუნებისათვის მომაკდინებელი გადაწყვეტილება მიიღო. თბილისის თვითმმართველობამ დიღმის ტყე-პარკის უდიდეს ნაწილს რეკრეაციული ზონის სტატუსი შეუცვალა და იგი საზოგადოებრივ-საქმიან ზონად გადააკეთა. დიღმის ტყე-პარკი, რომელსაც, 1934 წლიდან მოყოლებული, თავისი 75 ჰექტარი ფართობით თბილისის მთავარი სანერგე ფუნქცია ჰქონდა, მიწები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაკარგა, ბოლოს ქალაქს 20 ჰექტარი ფართობი შემორჩა. თუმცა, თავისი უნიკალური ფლორითა და საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი ხეებით ქალაქისთვის

რომელ ბმულში შედიხართ ყველაზე ხშირად ჩვენს გაზეთში?

- სიახლეები
- ანალიზი
- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- ბლოგები
- კულტურა

5 წლის წინ სურგულაძეს, რომელიც თელავის ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია გულზე. ბავშვი მზრუნველობას მოკლებულია და მისი გადარჩენა მხოლოდ თქვენს თანადგომას შეუძლია.
 ვი.თი.ბი. ბანკი კოდი 220101629
 ანგარიშის ნომერი: 14743608
 საბანკო კავშირი 231245596

აწყურის ხანძრების საიდუმლო - შეთქმულება საქართველოს ბუნების წინააღმდეგ! » ახალი 7 დღე

მნიშვნელოვანი ფილტვის როლს მაინც ასრულებდა.

2003 წელს საკრებულოს მაშინდელმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ დიღმის ტყე-პარკს, რომელიც, თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი მწვანე ზოლი იყო, განადგურებისაგან აუცილებლად იხსნიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, რის წინააღმდეგაც წლების წინ პრეზიდენტობის მსურველი მიხეილ სააკაშვილი იბრძოდა, მოგვიანებით, მისივე ინიციატივით, კანონიერი გახდა და წინასწარჩევნო დაპირება, რომ ტყე-პარკს კბილებით დაიცავდა, მორიგი "აფიორა" აღმოჩნდა.

საბოლოო ჯამში კი, თბილისი, სუფთა ჰაერის, ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი ტყის სანაცვლოდ, კიდევ უფრო მეტ ბენზინგასამართ სადგურს, კაზინოს, რესტორანსა და იაფფასიან სასტუმროს მიიღებს.

საქართველოს ყველა ქალაქში გამწვანების პრობლემა დგას. სპეციალისტების განცხადებით, თუ თვითმმართველობების პრიორიტეტი გამწვანება არ იქნება, მოსახლეობის ჯანრთელობის პრობლემები უფრო დამძიმდება.

ადამიანის მიერ ბუნების ხელყოფის შემდეგ მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა გლობალური დათბობის საფრთხე. ყოველწლიურად იზრდება სტიქიური უბედურებების სიმძლავრე და რაოდენობა. ჯანმრთელობაზე გლობალური დათბობის გავლენის შესწავლა ბოლო წლებში უფრო და უფრო აქტუალური ხდება. მეცნიერებმა კლიმატდამოკიდებული დაავადებების ნუსხაც კი დაადგინეს. მასში მოხვდა სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი სისტემის, ალერგიული, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები. ცხელ პერიოდში მკვეთრად იმატებს მათი გამვლინებებიც და სიმძიმეც.

ბიოლოგები მთელი მსოფლიოდან იუწყებიან, რომ სულ მალე გაქრება ცოცხალი ორგანიზმების ათასზე მეტი სახეობა. სავარაუდოდ, ოცდახუთ წელიწადში პირისაგან მიწისა აღიგვება გველებისა და ფუტკრების ყველა სახეობა. კრის რიდინგის ხელმძღვანელობით სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფი ეკოლოგიისა და ჰიდროლოგიის ბრიტანული ცენტრიდან გაგნაშის ზარს რეკს და გვამცნობს, რომ გველების პოპულაცია სხვადასხვა კონტინენტზე უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე რამდენჯერმე შემცირდა. მათზე

- მართლმსაჯულება
- მედია
- სპორტი
- ჟურნალისტური გამოძიება

ასე ვფიქრობ

შედეგები



რეკლამის ადგილი
 (234 X 60)



დაკვირვების 20 წლიანი პერიოდის განმავლობაში აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთდროულად გამქრალიყო დედამიწის სახვადასხვა წერტილში მცხოვრები რამდენიმე სახეობა.

გველების ჩვიდმეტი პოპულაცია რვა განსხვავებული სახეობიდან ჩვენი პლანეტის სხვადასხვა არეალში,- ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ნიგერისა და ავსტრალიაში ოთხმოცდაათი პროცენტით შემცირდა.

გველებთან ერთად ჩვენი პლანეტიდან ფუტკრებიც ქრებიან. პენჯაპის (ინდოეთი) უნივერსიტეტის სწავლულებმა განაცხადეს, რომ ფუტკრების გაქრობაში მობილური ტელეფონებია დამნაშავე. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მომაკვდინებელ გავლენას მწერებზე ელექტრომაგნიტური გამოსხივება ახდენს, რომელსაც მობილური ტელეფონები გამოყოფენ.

ისევ საქართველოს გარემოსდაცვით პრობლემებს რომ დავუბრუნდეთ ქრონოლოგიურად უნდა გავაანალიზოთ ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა ჩვენი ქვეყნის ეკოსისტემის დასაცავად. საქართველოში ამჟამად მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს შეიქმნა. მართალია, მასში დროთა განმავლობაში შედიოდა გარკვეული ცვლილებები, მაგრამ, უკანასკნელ პერიოდამდე ძირითადი პრინციპები და მიდგომები უცვლელი რჩებოდა, გასული წლების განმავლობაში ჩატარდა არაერთი კვლევა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დასადგენად. კვლევები წარმოაჩენს, რომ კანონმდებლობის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონები ადგენენ მხოლოდ ზოგად სამართლებრივ ნორმებს და როგორც წესი, არ არსებობს მათი შესრულების მექანიზმები - დეტალური კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც, ზოგადი ნორმების საფუძველზე ნათლად განსაზღვრავენ ფუნქციებს, კომპეტენციებს, პროცედურებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" მიერ მომზადებულ ანგარიშში, გარემოსდაცვითი მმართველობის შესახებ საქართველოში, ვკითხულობთ: "2004 წლის

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქვეყნის მთავრობის მიერ ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართულმა კურსმა ზეგავლენა მოახდინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზეც. კანონმდებლობის ნაკლოვანებები კვლავ უცვლელი დარჩა, თუმცა მნიშვნელოვნად შეიცვალა კანონმდებლობით განსაზღვრული მარეგულირებელი ინსტრუმენტების ხასიათი (შინააარსი), რამაც, თავის მხრივ, ზეგავლენა მოახდინა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამავე სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებაზე”.

გარემოს დაცვის პრობლემების და ამ საკითხზე მიმდინარე პროცესების შესახებ მდიდარი ელექტრონული ბაზა არის შექმნილი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საიტი, “ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შესახებ საქართველოში”. ასევე ბლოგი soegeorgia.blogspot.com, რომელიც აშუქებს საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შემუშავების და საამისოდ ახალი წესების მომზადების პროექტის მიმდინარეობას.

მიუხედავად ერთგვარი ინფორმაციული გახსნილობისა, მთელი რიგი პრობლემები გადაუჭრელი რჩება. საქართველოში არამართო ვერ ხერხდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მართვის მექანიზმების გამოგონება, არამედ დავიწყებულია დაცული ტერიტორიების ძირითადი დანიშნულება - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აქცენტი კეთდება მხოლოდ ტურიზმის განვითარებასა და დაცული ტერიტორიებიდან შემოსავლის მიღებაზე, თუმცა, პრაქტიკულად, ამ მხრივ ჯერ არაფერია გაკეთებული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ეროვნულ პარკში დონორთა დაფინანსებით გარკვეული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. თითქმის არანაირი სამეცნიერო მუშაობა არ მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიებზე.

საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 6.7%-ია დაცული ტერიტორია და ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს - მაშინ, როცა საქართველოს ბიომრავალფეროვნების ღირებულება ბევრად მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებისა.

მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მცენარეთა და ცხოველთა დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას - ბრაკონიერობა - სახელმწიფო პროგრამებში ყურადღების გარეშეა დარჩენილი. არ იგეგმება ფიზიკური დაცვის მექანიზმებისა და საშუალებების გაძლიერება.

გარემოს დაცვის ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემაში არსებულ ხარვეზთა შორის სპეციალისტები ძირითადად ასახელებენ შემდეგ პრობლემებს: უწყებებისთვის მინიჭებულ კომპეტენციათა გადაფარვას, ვალდებულებათა ბუნდოვნად განსაზღვრასა და ცალკეულ საკითხთა რეგულაციის გარეშე არსებობას (როდესაც ძნელი დასადგენია, თუ ვინ ახორციელებს ამა თუ იმ ფუნქციას), სუსტ თანამშრომლობასა და კომუნიკაციას, რესურთსარგებლობასა და მართვაში ბუნებრივი კატასტროფების რისკის ელემენტების გაუთვალისწინებლობას, კვალიფიციური ადამიანური რესურსებისა და გამოცდილების, დაგეგმვისა და მართვის ნაკლებობას, ფინანსური და ტექნიკური რესურსების შეზღუდულობას და სხვა.

ასევე პრობლემებს შორის შეიძლება გამოვყოთ სატყეო სექტორის განვითარების ერთიანი სტრატეგიის არარსებობა. ჯეროვნად არ ხორციელდება ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვა. დაცული ტერიტორიების არაეფექტური მართვა და სხვა მრავალი.

საქართველოს "მწვანეთა მოძრაობაში" აცხადებენ, რომ ამჟამად ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც გარემოს დაცვის კუთხით წარმოიშვა, ბათუმში შექმნილი ვითარებაა. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის გამგეობის წევრის გიორგი ფარესიშვილის განცხადებით, "2001 წლიდან შავ ზღვაში აკრძალულია დელფინების დაჭერა, ასევე, სიტეს კონვენციის თანახმად, მათი შემოყვანა და გამრავლებაც იკრძალება. ეს კონვენცია ეხება მცირე და საშუალო ძუძუმწოვრების დაცვას. ჩვენი ინფორმაციით კი, ოცამდე დელფინი დაიჭირეს, რომელთაგან ოთხი დაიღუპა".

საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემებიდან ერთ-ერთ ყველაზე მძიმეს წარმოადგენს ბოლო დროს განხორციელებული ტყის ხანძრები. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მიაღწია ჩვენს ტყეს. გიორგი ფარესიშვილის განცხადებით, „დაკვირვების

შედეგად გაირკვა, რომ ხანძარი, ძირითადად, ჩნდება ტყის იმ კორომებში, რომლებიც არის მეჩხერი. ეჭვს ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ იმ კომისიამ, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ტყის ხანძრებს იძიებდა, გაურკვეველი მიზეზების გამო შეწყვიტა მუშაობა. კომისიამ მუშაობის მანძილზე ვერცერთი ფაქტი ვერ მოიპოვა იმის დასამტკიცებლად, რომ ის ხანძარი ნამდვილად ომმა გამოიწვია. როგორც კი დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ექსპერტები მოგვეწვია, ეს საკითხი შეჩერდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ არც ხელშესახები ფაქტები გვაქვს იმისა, რომ დამტკიცდეს, ტყის დაწვა ნამდვილად რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ მოხდა თუ არა”.

გიორგი ფარესიშვილის თქმით, “გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არც დამწვარი ხეების გამოტანა უზრუნველყო. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები საუბრობდნენ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიეყენებინა გადარჩენილი ტყის მასივებისთვის დამწვარ ხეებს. გარდა ამისა, იმის საფრთხეც არსებობდა, რომ მოსახლეობის მხრიდან მომხდარიყო მავნე ჩარევა ამ საკითხში. ჩემი ინფორმაციით, დამწვარი ხეები მოსახლეობამ გამოიტანა და ეს პროცესი უკონტროლოდ მიმდინარეობდა”. მისივე თქმით, “საქართველოს ბანკის” “მწვანე ანაბრით” დაახლოებით ცხრა ჰექტარ ფართობზე სანერგე მეურნეობა გაშენდა. თუმცა ნერგების გაშენება მოხდა იმ კანონზომიერებების გაუთვალისწინებლად, რა მახასიათებლებიც აქვს ტყეს. ჩემი ინფორმაციით, იქ დაირგო არა მცირე ზომის ნერგები, არამედ უკვე გაზრდილი ხეები, რომლებიც სარგებელს ვერ მოუტანს ჩვენს ბუნებას.

წელს გაჩენილი ხანძრები ჩვენს ტყეებში შეიძლება ორი მიზეზით იყოს გამოწვეული. ერთი მხრივ, ეს შეიძლება გამოეწვიოს ტემპერატურული რეჟიმის დარღვევას. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ხანძრის ზოგიერთი კერა იყოს გაჩენილი ხელოვნურად, რათა დაიფაროს ტყის უკანონო ჭრა. ოფიციალური ინფორმაციით, აწყურში 25 ათასი ჰექტარია დამწვარი, სანდო წყაროს ინფორმაციით კი, იქ სამჯერ მეტი ფართობია განადგურებული. ამასთანავე ჟურნალისტებს ეკრძალებათ ეპიცენტრიდან ინფორმაციის გაშუქება, რაც ეჭვს კიდევ მეტად ამძაფრებს”.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობაში აცხადებენ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მეწყერი, მისი კონტროლი არ ხორციელდება. გიორგი ფარესიშვილი:

“თბილისში ორი სახიფათო ზონა გვაქვს ამ კუთხით, ერთი მხრივ, მუხათგვერდში და მეორე მხრივ, ავჭალაში, სადაც მეწყერისგან თავდაცვის არანაირი ინსტრუმენტი არ მუშაობს”.

ორგანიზაციაში ასევე საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხშირ შემთხვევაში სრულიად უმიზეზოდ ნადგურება რეკრეაციული ზონები თბილისშიც კი. მათ მაგალითად მოჰყავთ საირმის ქუჩაზე მდებარე პირველი ექსპერიმენტული სკოლის ბაღი. მისი გაჩეხვა მოხდა იმ საბაბით, რომ სკოლასთან აშენებულ იყო დამატებითი ფლიგელი, თუმცა ამისი საჭიროება არ იყო, იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას უკვე ჰქონდა ნაგებობა რომელსაც ის დღემდე არ იყენებს”.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობაში აცხადებენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მონაწილეობს ორპუსის კონვენციაში, ის არ სრულდება. კონვენციის თანახმად, როცა გარემოზე ზემოქმედება ხდება, შესაბამისი ობიექტური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საზოგადოებას. სკოლასთან არსებული ბაღის შემთხვევაში კი არც ადგილობრივი მოსახლეობის და არც მასწავლებლების გაფრთხილება არ მომხდარა. რიგ შემთხვევებში სრულებით არ ხდება მათი ინფორმირება, ხშირად კი არასწორი ინფორმაცია მიეწოდებათ. ასე მოხდა როგორც ლილოს ნაგავსაყრლთან დაკავშირებით, ასევე ახალ რკინიგზასთან. ორივე შემთხვევაში მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია მიეწოდა.

Like

11

Tweet

0

0

ასევე:

- ქაოსი სატყეო მეურნეობის მართვაში
- გარემოს დაცვის სამინისტრო და ტექნიკური თანამშრომლების საზოგადოება ერთმანეთთან ითანამშრომლებენ
- ბორჯომში დამწვარი ტყის მასივების აღდგენა იწყება
- გარემოს დაცვას ბუნებრივი რესურსები ჩამოაცილეს
- ზესტაფონ-ხარაგაულის სატყეო უბანზე დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გამოცხადდა